

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს მელორაცია“ (მის: თბილისი, გ. გულუას ქუჩა №6), წარმოდგენილი - მისი გენერალური დირექტორის ოთარ შამუგიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „მტკვარწყალმზენი“ (იურიდიული მის: ქ. გორი, ნინოშვილის ქ., №87) წარმოდგენილი - მისი დირექტორის მერაბ სამხარაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 14.06.2017წ. N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად, შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) **“კლდეწისის სატუმბო სადგურის სადაწნო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო სადგურის ფუნქციონირების ღონისძიებები“ სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება შემდეგ თანხაზე: **159'565.13 (ასორმოცდახარამეტი ათას ხუთასსამოცდახუთი ლარი და 13 თეთრი) ლარი** *დღგ-ს ჩათვლით* (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება"). დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (NAT190004820).
- 1.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 1,2 პუნქტში მითითებული ტენდერისათვის, წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:
 - 1.3.1. სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1).
 - 1.3.2. ტექნიკური დავალება (ანოტაცია, განმარტებითი ბარათი, ტექნიკური სპეციფიკაცია, ნახაზები).
- 1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **“კლდეწისის სატუმბო სადგურის სადაწნო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო სადგურის ფუნქციონირების ღონისძიებები“ სამუშაოები** (შემდგომში "სამუშაო"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 45200000; 45240000.
- 2.3. შესასრულებელი სამუშაო(ებ)ის კონკრეტული დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება;
- 3.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას ახორციელებენ: **კონტრაქტების მონიტორინგის სამსახურის უფროსი თამაზ ხვედელიძე და კონტრაქტების მონიტორინგის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ზურაბ სისაური** (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“);
- 3.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
 - 3.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გაკონტროლება;
 - 3.3.2. შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
 - 3.3.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება და შესრულებული სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა;
 - 3.3.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შეთანხმების პროცესში მონაწილეობის მიღება და ხელშეკრულებაზე დართვის მიზნით მიმწოდებელთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესყიდვების დეპარტამენტში გადაზღვრვა, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 და 4.3 პუნქტების გათვალისწინებით.
- 3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის/ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის/ინსპექტირების პროცესში გამოიყენებს გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად შემსყიდველი;
- 3.5. ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს ინსპექტირების ჯგუფს და მათი დასწრების/თანხმობის გარეშე არ მიიყვანოს სამუშაოები იმ ეტაპზე, რის შემდეგაც შეუძლებელი იქნება ფარული სამუშაოების ხასიათისა და მოცულობის შეფასება.
- 3.6. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის/გაუმართაობის აღმოფხვრა და კონტროლის/ინსპექტირების ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
- 3.7. სამუშაოების მიმდინარეობაზე ინსპექტირების ჯგუფი კონტროლს/ინსპექტირებას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;
- 3.8. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ინსპექტირების ჯგუფისა და მიმწოდებლის წარმომადგენლ(ებ)ის მონაწილეობით, ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გარემოებები. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს მონაწილეობაზე ზემოაღნიშნული აქტის შედგენაში, მოცემული ფაქტი ფიქსირდება ამავე აქტში და ოგი იწვევს ოგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვანად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)/გაუმართაობები, რომელთა ღირებულება მიმწოდებელს დამატებით არ აუნაზღაურდება.

4. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან **2019 წლის 29 ივნისის ჩათვლით (60 კალენდარული დღე)**.
- 4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარდგენა და შემსყიდველთან შეთანხმება. გეგმა-გრაფიკი უნდა იყოს, როგორც ხაზოვანი, ასევე, თანხობრივი, თვეების ჭრილში. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი დართვება ხელშეკრულებას დანართად. შემსყიდველისათვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შესაბამისობაშიდგეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოების დასრულების ვადას.
- 4.3. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველის აფრთხილებს მიმწოდებელს და შესაძლებელია მოსთხოვოს და შეითანხმოს განახლებული გეგმა-გრაფიკი, რომელშიც ნაჩვენებია უნდა იყოს თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე და ღონისძიებების თანმიმდევრობაზე. განახლებული გეგმა-გრაფიკი მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
- 4.4. სავალდებულოა სამუშაოები წარმოებული იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკის განუხრელი დაცვით, მაქსიმალურად უწყვეტ რეჟიმში.
- 4.5. ერთზე მეტი გაფრთხილების მიცემის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამოქმედოს ხელშეკრულებით საამისოდ განსაზღვრული პირობები.
- 4.6. სამუშაოების წარმოების ადგილია: ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი კლდეწისის ტერიტორია, მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირი.
- 4.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით. საჭიროების შემთხვევაში ყველა ნებართვის, ლიცენზიის და სხვა უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტაციის მოპოვება ევალება მიმწოდებელს.

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოს წარდგენა ხორციელდება სულ მცირე თვეში ერთხელ. მიმწოდებელი არ არის შეზღუდული საანგარიშო პერიოდში წარმოადგინოს რამდენიმე შესრულება.
- 5.2. შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი (ფორმა N2)) გაფორმების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.
- 5.3. ფარული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისათვის, აუცილებელია დაცული იყოს აღნიშნული ხელშეკრულების 3.5. პუნქტით განსაზღვრული პირობები.
- 5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს აქტი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
- 5.5. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.
- 5.6. სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.
- 5.7. სამუშაოების დასრულებისას მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ბოლო შესრულების ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ ხელშეკრულების ღირებულების 3%.
- 5.8. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის დამატებით აუცილებელია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ იქნას სსიპ ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან ნებისმიერი აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ შედგენილი დასკვნა, რომლითაც დადასტურდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობა. ექსპერტიზის ხარჯების გაღება ევალება მიმწოდებელს.
- 5.9. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება შემსყიდველის მხრიდან დასტურდება საამისოდ შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადგილზე ამოწმებს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან და საექსპერტო ორგანიზაციის მიერ შედგენილი დასკვნის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შესახებ;
- 5.10. სამუშაოს (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას *გონივრულ ვადაში* საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- 6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნადავო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
- 6.2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს სულ მცირე ყოველთვიურად წარუდგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის მითითებით. მიმწოდებელი არ არის შეზღუდული საანგარიშო პერიოდში წარმოადგინოს რამდენიმე შესრულება.
- 6.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელ(ებ)ის მიერ დადასტურებული მოცულობების მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან (რომელიც უფრო გვიან დადგება) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 6.4. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებით განსაზღვრული ანგარიშსწორება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 6.5. საბოლოო ანგარიშსწორება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოკვეთვების გამოკლებით, განხორციელდება სსიპ ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან ნებისმიერი აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაციის დასკვნით განსაზღვრული მოცულობების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულებისა. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველს ფაქტობრივად უკვე გადახდილი ექნება საექსპერტო ორგანიზაციის დასკვნით განსაზღვრული მოცულობების ღირებულებაზე მეტი ოდენობის თანხა, მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში დააბრუნოს სხვაობა.
- 6.6. ყოველი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხიდან განხორციელდება დაქვითვები 6.8.7. (ავანსის დაქვითვა), 7.5. (ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია) და 9.5. (ადმინისტრაციული სახდელი) პუნქტების პირობების გათვალისწინებით.
- 6.7. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების მომენტისათვის, მიმწოდებელს უფიქსირდება თანხობრივი ვალდებულებები შემსყიდველის წინაშე (გადაუხდელი პირგასამტეხლო), შემსყიდველი უფლებამოსილია გამოკვეთოს აღნიშნული თანხა გადასახდელი ოდენობიდან.
- 6.8. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები:
 - 6.8.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (ავანსის) გადახდის თაობაზე, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 10%.
 - 6.8.2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება,

ასევე, თუ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ზემოაღნიშნული პირობების არარსებობის დამადასტურებელი შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტები.

- 6.8.3.** შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ საბანკო/სადაზღვევო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია, მოთხოვნილი თანხის იდენტურ ოდენობაზე. შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნას უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საავანსო საბანკო გარანტია, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- 6.8.4.** ავანსის გადახდა განხორციელდება ზემოაღნიშნული საავანსო საბანკო გარანტიის შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 6.8.5.** საავანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უფლებას აძლევდეს, საავანსო საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საავანსო საბანკო გარანტიით განსაზღვრული შესაბამისი თანხა.
- 6.8.6.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია კეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში ე.წ. „ეთერ სიაში“, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს საავანსო საბანკო გარანტია გასაცემი ავანსის ნახევრის ოდენობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, თავდაპირველად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის სრულად დაქვითვა.
- 6.8.7.** ავანსად გადაიცემული თანხის დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, კერძოდ, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაუკავდება თანხის ის პროცენტული ოდენობა, ხელშეკრულების ღირებულების რა პროცენტიც მიღებული აქვს ავანსად.
- 6.8.8.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყდა ვადაზე ადრე ან/და მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას და მხარეები ვერ თანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან დაუქვითავი ნაწილი (იგივე ვალდებულება ვრცელდება „ეთერ სიაში“ რეგისტრირებულ მიმწოდებელზე, როგორც არაუზრუნველყოფილ, ასევე, უზრუნველყოფილ საავანსო თანხაზე), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საავანსო საბანკო გარანტიის გამცემ დაწესებულებას შესაბამისი თანხის დაბრუნების თაობაზე.
- 6.9.** შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 9.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
- 6.10.** ხარჯთაღრიცხვაში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მიმწოდებლის მიერ მოხდება მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით.
- 6.11.** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. საგარანტიო პირობები და ვადები

- 7.1.** მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება სამუშაოს შესრულების ტექნიკურ პირობებს.
- 7.2.** შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების მიერ სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.
- 7.3.** შემსყიდველის მხრიდან, საგარანტიო ვალდებულების შესრულების საჭიროების თაობაზე, შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ყველა გამოვლენილი დეფექტი/გაუმართაობა. იმ შემთხვევაში თუ დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის სირთულიდან გამომდინარე, მის აღმოსაფხვრელად საჭიროა მეტი ვადა, მიმწოდებელმა 10 დღიანი ვადის გასვლამდე შემსყიდველთან უნდა შეათანხმოს მოცემული ვადის გაგრძელების საკითხი. ნებისმიერ შემთხვევაში დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრის ვადა არ შეიძლება აღმატებოდეს 30 კალენდარულ დღეს, შემსყიდველის მხრიდან, საგარანტიო ვალდებულების შესრულების საჭიროების თაობაზე, შეტყობინების მიღების დღიდან. ზემოაღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაერიცხება ხელშეკრულების ღირებულების 0.05% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, რომელიც, მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაიქვითება 7.5. პუნქტის თანახმად დაკავებული თანხიდან.
- 7.4.** თუ საგარანტიო ვადის ამოწურვის მომენტისათვის შემსყიდველს მიმწოდებლისთვის გაგზავნილი აქვს საგარანტიო ვალდებულების შესრულების საჭიროების შეტყობინება ან თუ მოცემულ დროს წარმოებს გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა გაგრძელდება შესაბამისი დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრამდე.
- 7.5.** შესრულებული სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება ამ სამუშაოს ღირებულების 5%. აღნიშნული თანხის ნახევარი (2.5%) მიმწოდებელს აუნაზღაურდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პირველი პერიოდის, 6 თვის, გასვლის შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (2.5%) - დეფექტებზე პასუხისმგებლობის მთლიანი პერიოდის, 1 წლის, გასვლის შემდეგ. ამასთან, ორივე შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემსყიდველი უფლებამოსილი წარმომადგენელი დამოწმებს, რომ მიმწოდებლის მიერ გასწორებულია ყველა აღმოჩენილი დეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის პერიოდ(ებ)ის დასრულებამდე.
- 7.6.** იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით, მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრას, სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შესაბამისი ეტაპისთვის დაკავებული თანხა, პირგასამტეხლოს სახით, მთლიანად რჩება შემსყიდველს.
- 7.7.** თუ 7.6. პუნქტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრისათვის საჭირო თანხა აღმატება სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას, შემსყიდველი უფლებამოსილია, დამატებით მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული სხვაობის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.8.** შემსყიდველი უფლებამოსილია, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, გადაუხადოს მიმწოდებელს სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ საბანკო/სადაზღვევო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას, დაკავებული თანხის იდენტურ ოდენობაზე (შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნას უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ). ამასთან, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი უნდა ადასტურებდეს, მოცემული მომენტისთვის, შესრულებულ სამუშაოზე დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის არარსებობას.
- 7.9.** 7.8. პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უფლებას აძლევდეს, საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული სრული თანხა. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სულ მცირე 60 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადას.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
- 8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.
- 8.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.
- 8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადაძვე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:
 - 8.4.1. მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ ვალდებულებებს;
 - 8.4.2. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
 - 8.4.3. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
 - 8.4.4. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
 - 8.4.5. მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;
 - 8.4.6. მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;
 - 8.4.7. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
 - 8.4.8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.07 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: სამუშაოს შესრულების ვადებით გათვალისწინებულ, საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.5 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 9.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების შეჩერების მოთხოვნით.
- 9.5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა მსგავსი გარემოებით.
- 10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, სათანადო მიზეზების მითითებით. მოცემულ ვადაში შეუტყობინებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ფორს-მაჟორის ფაქტი და მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად;
- 10.3. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 11.1. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული პირობები

- 12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის თანხმობის გარეშე სამუშაოები ან მისი ნაწილი გადასცეს ქვეკონტრაქტორს. ამასთან, დაუშვებელია ქვეკონტრაქტორს გადაეცეს მთლიანი სამუშაოების ღირებულებითი მოცულობის 40%-ზე მეტი.
- 12.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი სამუშაოს ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან და აღნიშნულ სამუშაოზე შემსყიდველის წინაშე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
- 14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

16. ხარვეზი რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს მელიორაცია“
მის: თბილისი, გ. გულუას ქუჩა N6
ტელ: (995 32) 2 48 01 00.
სს თბილისი ბანკი
ა/ა GE42TB7484736020100003; ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568

„მიმწოდებელი“

შპს „მტკვარწყალმშენი“
მის: ქ. გორი, ნინოშვილის ქ., №87
ტელ: (995 599) 25 37 05.
სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE21BG00000086786370; ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 218062780

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს მელიორაცია“

ოთარ შამუგია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „მტკვარწყალმშენი“

მერაბ სამხარაძე
დირექტორი

კლდეწისის სატუმბო სადგურის სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო სადგურის ფუნქციონირების ღონისძიებები

დამკვეთი
"დამტკიცებულა"

ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის ჯამი

მშენებლობის ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიშში

**სატუმბო სადგურის რეაბილიტაციის სამუშაოები;
დამცლელი მილის მოწყობის სამუშაოები და შემწოვი მილების შეცვლის სამუშაოები**

შედგენილია 2018 წლის IV კვარტლის სრფ დონეზე

№	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის, ხარჯთაღრიცხვის ნომერი	თავის, ობიექტის სამუშაოს და ხარჯების დასახელება	საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
1	2	3	8
		თავი 1	
		მშენებლობის ტერიტორიის მომზადება	
1		დანახარჯები არ არის	
		თავი 2	
		მშენებლობის ძირითადი ობიექტები	
2	ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა № 1	სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია (სამშენებლო სამუშაოები)	5345,10

3	ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა № 2	სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია (ტლ.ტექნიკური სამუშაოები)	8076,40
4	ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა № 3	დამცლელი მილის მოწყობის სამუშაოები და შემწოვი მილების შეცვლის სამუშაოები	12418,75
5	ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა № 4	სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია	95565,78
6	ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა № 5	მექანიკური ნაწილი	9880,08
		სულ თავი 2	131286,10
17		გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%	3938,58
		ჯამი:	135224,69
18		დამატებითი ღირებულების გადასახადი 18%	24340,44
		სულ ნაკრების ხარჯთაღრიცხვით	159565,13

მასალების დასაწყობება

მილი ლითონის დ=300მმ

**კლდეწნისის სატუმბო სადგურის სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო
სატენდერო ხარჯთაღრიცხვა N1
სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია
სამშენებლო სამუშაოები**

N	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	არსებული ფოლადის კარის დემონტაჟი	ტ	0,200	600,00	120,00
2	არსებული რკ.ბეტონის კოლონების მონგრევა ხელის პნევმოჩაქურებით	მ ³	0,8	125,00	100,00
3	არსებული ქვის წყობის კედლის მონგრევა ხელის პნევმოჩაქურებით	მ ³	2,2	125,00	275,00
4	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვიტმცლეულზე და გატანა 10 კმ-ზე	მ3	3,0	49,00	147,00
5	არსებულ რკ.ბეტონის სარტყელზე ბურღილების მოწყობა III-25მ H=25 სმ	ც	12,0	25,00	300,00
6	ანკერების მოწყობა არმატურით A-III III-20მ L=700მმ (12 ცალი)	ტ	0,021	3340,00	69,30
7	საანკერო ბუდეების შევსება ცემენტის ხსნარით 1:3 (ეპოქსიდის ფისზე)	მ ³	0,003	2000,00	6,00
8	რკ.ბეტონის ღიობის მოწყობა ბეტონის მარკა B25 W8 F200 არმატურა AIII (0.108 ტ.)	მ ³	1,35	245,00	330,75
8,1	არმატურა A-III III-12	ტ	0,083	3340,00	277,22
8,2	არმატურა A-III III-8	ტ	0,025	3340,00	83,50
9	ბლოკის კედლების მოწყობა, ბლოკის ზომებით: 40X20X20 სმ	მ ³	3,00	165,00	495,00
10	კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით 1:3	მ ²	5,0	12,00	60,00
11	ადრე დემონტირებული ფოლადის კარების მონტაჟი	ტ	0,200	2250,00	450,00
12	კედლების შეფითხვნა, დაზუმფარება, შეღებვა ნესტგანძლე საღებავით	მ ²	5,0	12,00	60,00
	სატუმბო სადგურში არსებული ტელფერის გადატანა				0,00
13	არსებული მექანიკური ტალის დემონტაჟი ტვირტამწეობით 2ტ.	ც	1,0	100,00	100,00
14	არსებული ორტესებრი №30 კოჭის დემონტაჟი და ძრავების გასწვრივ გადატანა მონტაჟი L=20მ (1 ცალი)	მ	20,0	20,00	400,00
15	არსებული მექანიკური ტალის მონტაჟი ტვირტამწეობით 2ტ.	ც	1,0	100,00	100,00

1	2	3	4	5	6
16	სიხისტის წიბოები ლითონის ფურცლისაგან ზომით 30X10სმ სისქით 7მმ (8 ცალი)	ტ	0,0132	3340,00	44,09
	წყალმიმღები ძაბრის მოწყობა				0,00
17	სახურავზე წყალმიმღები ძაბრის შექმნა და მოწყობა	მ	1,05	125,00	131,25
17,1	ფოლადის მილი Ø-325/6მმ L=100მმ (3 ცალი)	მ	0,3	93,30	27,99
17,2	ფოლადის მილი ძაბრი Ø-325-420 L=250მმ მმ მმ შექმნა მონტაჟი	ც	3,0	240,00	720,00
17,3	არმატურა A-III Ø-10მმ	კვ	9,00	3,00	27,00
	სატუმბო სადგურის შენობის სახურავის წინა მხარე და სატრანსფორმატორო შენობის წინა და უკანა მხარეს ტორსების შეფიცვრა				0,00
18	შეფიცვრა ხის მასალით ფიცრის სისქე 3სმ, შექმნა მონტაჟი	მ2	23,0	21,00	483,00
19	შეფიცვრული ტორსების შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2 ფენა	მ2	23,0	8,00	184,00
20	ორი შესასვლელი კარის მოწყობა ტორსებზე 1x1მ ხის მასალით ფიცრის სისქე 3სმ, შექმნა მონტაჟი (სხვენში შესასვლელი)	მ ²	2,0	120,00	240,00
21	ანჯამის შექმნა და მოწყობა	ც	4,0	12,00	48,00
22	საკეტის შექმნა და მოწყობა	ც	2,0	25,00	50,00
23	კარის შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2 ფენა	მ2	2,0	8,00	16,00
	სულ:				5345,10

**კლდეწისის სატუმბო სადგურის სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო
სატენდერო ხარჯთაღრიცხვა № 2
სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია
ელ.ტექნიკური სამუშაოები**

№	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება, მოწყობილობის დახასიათება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
	ელექტრო-მექანიკური სამუშაოები				
1	ტუმბო-აგრეგატების გაშვება გამართვა, რევიზია 0.4კვ-ზე განხორციელდეს ერთსაფეხურიანი ელექტრო სქემით				
1,1	ტუმბო-აგრეგატების გაშვება გამართვა განხორციელდეს ერთსაფეხურიანი ელექტრო სქემით	კომპ.	3,0	450,00	1350,00
1,2	ტუმბო-აგრეგატების რევიზია 0.4კვ-ზე განხორციელდეს ერთსაფეხურიანი ელექტრო სქემით	კომპ.	3,0	150,00	450,00
2	არსებული მი-გზაფრირებულ მილში ჩალაგებული ელექტრო კაბელები განლაგდეს სწორხაზოვნად და დამაგრდეს შესაბამისი დიამეტრის ხამუტებით	ც	35,0	6,00	210,00
3	ვაკუუმ ტუმბოს შეშენება მონტაჟი	ც	1,0	3200,00	3200,00
3,1	ელექტროენერჯის ხარჯი აგრეგატის გამოცდისათვის	კვტ.	117,0	0,20	23,40
3,2	ვაკუუმ ტუმბოს რევიზია	ც	1,0	150,00	150,00
	დენის სიმძლავრის გამზომი მოწყობილო-ბების მოწყობა მართვის კარადაში				0,00
4	დენის ტრანსფორმა-ტორების კოეფიციენტით 200/5 ამპ. შეძენა და მონტაჟი	ცალი	3,0	250,00	750,00
5	ამპერმეტრის კოეფიციენტით 200/5 ამპ. შეძენა მონტაჟი	ცალი	3,0	250,00	750,00
8	სპილენძის მარღვებიანი კაბელის შეძენა და მონტაჟი კვეთით: (3X50+1X25) მმ ² 0.4 კვ.	მ	20,0	55,00	1100,00
9	სპილენძის საკაბელო ბუნიკის შეძენა და მონტაჟი კვეთით: 50 მმ ² 0,4 კვ	ცალი	9,0	8,00	72,00
10	სპილენძის საკაბელო ბუნიკის შეძენა და მონტაჟი კვეთით: 25 მმ ² 0,4 კვ	ცალი	3,0	7,00	21,00
	ჯამი:	ლარი			8076,40

კლდეწისის სატუმბო სადგურის სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო

სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №3

დამცლელი მილის მოწყობის სამუშაოები და შემწოვი მილების შეცვლის სამუშაოები

№	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება, მოწყობილობის დახასიათება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
დამცლელი მილის მოწყობის სამუშაოები					
1	სტეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ექსკავატორით ჩამჩის მოცულობით 0.65 მ ³ გვერდზე დაყრა	მ ³	35,0	4,00	140,00
2	სტეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით	მ ³	2	38,00	76,00
3	ფოლადის დამცლელი მილი Ø-127/4.5 მმ (წყალმიმღებ კამერაში ჩაშვებით) შეძენა მონტაჟი	მ	40,0	45,00	1800,00
4	ფოლადის ურდული Ø-100 მმ PN-16 შეძენა მონტაჟი	ც	3,0	225,00	675,00
5	ფოლადის მუხლი Ø-127/4.5მმ 90° შეძენა მონტაჟი (4 ცალი)	ტ	0,016	8750,00	140,00
6	ფოლადის მილტუჩები Ø-100 მმ PN-16 შეძენა მონტაჟი	ც	6,0	50,00	300,00
7	ჭანჭიკი 16X80 შეძენა	ც	24,0	3,00	72,00
8	ქანჩი 16მმ შეძენა	ც	24,0	2,00	48,00
9	რეზინის საფენი Ø-4მმ შეძენა	კმ	2,0	25,00	50,00
10	ადრე დამუშავებული გრუნტის უკუჩაყრა 80 ცხ.დ. ბულდოზერით 10 მ-ზე გადაადგილებით	მ ³	35,0	4,00	140,00
11	ნარჩენი გრუნტის ადგილზე მოსწორება 80 ცხ.დ. ბულდოზერით	მ ³	2,0	4,00	8,00
შემწოვი მილების შეცვლის სამუშაოები					0,00
12	სტეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ექსკავატორით ჩამჩის მოცულობით 0.65 მ ³ გვერდზე დაყრა	მ ³	160,0	4,00	640,00
13	სტეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით	მ ³	5	38,00	190,00
14	ფოლადის მილის Ø-325/7მმ L=18მ (3 ცალი) შეძენა მონტაჟი	მ	54,0	95,00	5130,00
15	ფოლადის მუხლები Ø-325/7 მმ 90° შეძენა მონტაჟი (3 ცალი)	ტ	0,195	12050,00	2349,75
16	ადრე დამუშავებული გრუნტის უკუჩაყრა 80 ცხ.დ. ბულდოზერით 10 მ-ზე გადაადგილებით	მ ³	160,0	4,00	640,00
17	ნარჩენი გრუნტის ადგილზე მოსწორება 80 ცხ.დ. ბულდოზერით	მ ³	5,0	4,00	20,00
ჯამი		ლარი			12418,75

სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №4

სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია

# #	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	არხის წმენდა ნატანისაგან ექსკავატორით 0.65მ3/ჩ	მ3	300	4,00	1200,00
2	ამოღებული გრუნტის მოსწორება ადგილზე ბულდოზერით 10მ-ზე გადაადგილებით		300	4,00	1200,00
3	მსტ. გრუნტის დამუშავება ტრანშეაში ექსკავატორით 0.65მ3/ჩ გრუნტის გვერდზე დაყრით	მ3	540	4,00	2160,00
4	ტრანშეის დამუშავება ხელით გრუნტის გვერდზე დაყრით	მ3	60	38,00	2280,00
5	არსებული ლითონის მილის დ=300მმ დემონტაჟი და დასაწყობება	მ	520	4,00	2080,00
6	დემონტირებული მილის დატვირთვა ა/მანქანაზე	ტ	20	20,00	400,00
7	მილების ტრანსპორტირება 1 კმ-ზე დასაწყობების ადგილამდე	ტ	20	5,00	100,00
8	დემონტირებული მილების გადმოტვირთვა ა/მანქანიდან დასაწყობების ადგილზე	ტ	20	20,00	400,00
9	ტრანშეის ძირის პროფილირება ხელით	მ2	390	7,00	2730,00
10	ლითონის მუხლის დ=325*7მმ (სხვადასხვა კუთხით) დამზადება ადგილზე (2ც)	ტ	0,200	4500,00	900,00
11	დამზადებული ლითონის მუხლის დ=325*7მმ (2ც) მონტაჟი	ტ	0,2	1200,00	240,00
12	მილსადენის (დ=530*7მმ) მოწყობა ჰიდრავლიკური გამოცდით	მ	440	105,00	46200,00
13	ლითონის მუხლის დ=530*7მმ დამზადება ადგილზე (3)	ტ	0,420	5000,00	2100,00
14	დამზადებული ლითონის მუხლის დ=530*7მმ (3ც) მონტაჟი	ტ	0,42	714,00	299,88
15	მილსადენის (დ=530*7მმ) მოწყობა ჰიდრავლიკური გამოცდით	მ	33	155,00	5115,00
16	გაძლიერებული იზოლაციის მოწყობა დ=325მმ მილებზე ვიზოლით (440გ.მ.)	მ2	449,000	12,50	5612,50
17	გაძლიერებული იზოლაციის მოწყობა დ=530მმ მილებზე ვიზოლით (32გ.მ.) სადაწნეო მილსადენზე და სატუმბო სატუმბო სადგურის მილებზე	მ2	53,200	12,00	638,40
18	ადრე დამუშავებული გრუნტის უკუჩაყრა ბულდოზერით	მ3	560	4,00	2240,00
19	გრუნტის მოსწორება ადგილზე ბულდოზერით 130ც/მ	მ3	30	4,00	120,00
20	დარჩენილი გრუნტის მოსწორება ადგილზე ხელით	მ3	10	25,00	250,00
21	გარსაცმი მილის დ=630*7მმ (ჩეხოლის) გაყვანა გრუნტებში ჰორიზონტალურად (ჩეხოლში) 3600 ტიპის დანადგარით.	მ	20	965,00	19300,00
	ჯამი	ლარი			95565,78

კლდეწნისის სატუმბო სადგურის სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია და სატუმბო

სატენდერო ხარჯთაღრიცხვა № 5

მექანიკური ნაწილი

№	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება, მოწყობილობის დახასიათება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	არსებული ტუმბო აგრეგატის TKF 100-250 Q=160 მ ³ /სთ H=62მ P=55კვტ. n=3000ბრ/წთ; 0.4 კვ. დემონტაჟი და დასაწყობება ადგილზე	ც	1,0	200,00	200,00
2	დემონტირებული ტუმბო აგრეგატის TKF 100-250 Q=160მ ³ /სთ H=62მ P=55კვტ. n=3000ბრ/წთ; 0,4 კვ დატვირთვა და გადმო-ტვირთვა დასაწყობება ადგილზე	ტ	1,2	100,00	120,00
3	ტუმბო აგრეგატის TKF 80-250 Q=200მ ³ /სთ H=90მ P=75კვტ. 0 n=3000ბრ/წთ; 0.4 კვ მონტაჟი (ტუმბო აგრეგატი დამკვეთის მიერ იქნება მოწოდებული)	ც	1,0	200,00	200,00
4	ელექტროენერჯის ხარჯი აგრეგატის გამოცდისათვის	კვტ.	1600,0	0,20	320,00
5	ტუმბო აგრეგატის გაშვება გამართვა	კომ.	1,0	100,00	100,00
6	ტუმბო აგრეგატის რევიზია (დამკვეთის ექსპლუატაციის მეთვალყურეობის ქვეშ)	ც	1,0	50,00	50,00
7	არსებული ფოლადის ურდულების Ø-200მმ დემონტაჟი	ც	3,0	50,00	150,00
8	დემონტირებული ფოლადის ურდულების Ø-200მმ PN-16 მონტაჟი	ც	3,0	40,00	120,00
9	ფოლადის ურდულის Ø-100მმ შექმნა მონტაჟი	ც	3,0	225,00	675,00
10	ფოლადის მილტუჩის Ø-100მმ შექმნა მონტაჟი	ც	6,0	25,00	150,00
11	ქანჩი M16 შექმნა მონტაჟი (48 ცალი)	კბ	2,4	10,00	23,50
12	ქანჭიკი M16-80მმ შექმნა მონტაჟი (48 ცალი)	კბ	1,5	10,00	15,00
13	არსებული უკუსარქველის Ø-200მმ დემონტაჟი	ც	3,0	300,00	900,00

14	დემონტირებული უკუსარქველის Ø-200მმ მონტაჟი შენობის გარეთ	ც	3,0	40,00	120,00
15	ფოლადის მილტუჩის Ø-200მმ შექმნა მონტაჟი	ც	15,0	41,00	615,00
16	ქანჩი M18 შექმნა მონტაჟი (144 ცალი)	კბ	7,5	10,00	75,00
17	ქანჭიკი M16-80მმ შექმნა მონტაჟი (144 ცალი)	კბ	4,5	10,00	45,00
18	რეზინის საფენი შექმნა მონტაჟი	კბ	20,0	15,00	300,00
19	კოლექტორის მოწყობა ფოლადის მილით Ø-500მმ შექმნა მონტაჟი	ტ	0,92691	2225,00	2062,37
20	კოლექტორისთვის რკ.ბეტონის საყრდენის მოწყობა (3ცალი) 0.8x0.8x1.0მ	მ ³	1,92	245,00	470,40
	არმატურა A-III Ø-12მმ	ტ	0,08	3340,00	267,20
21	დამცავი სარქველის Ø-100მმ PN-16 დემონტაჟი	ც	2,0	225,00	450,00
22	დემონტირებული დამცავი სარქველის Ø-100მმ PN-16 მონტაჟი	ც	2,0	40,00	80,00
23	სატუმბო სადგურში არსებული კედლის ამოტეხვა ხელის პნევმოჩაქურებით Ø-200 მილის გასატარებლად	მ ³	1,1	125,00	137,50
24	ჩოხალის მოწყობა ფოლადის მილით Ø-300 მმ მ.მ. (3 ცალი)	ტ	0,04751	3340,00	158,68
25	ამოტეხილი ღიობების ამოვსება ქვიშა-ცემენტის ხსნარით (0.05 მ ³)	მ ²	2,5	12,00	30,00
26	ფოლადის მილის Ø-200/7მმ L=5მ (3 ცალი) შექმნა მონტაჟი	ტ	0,549	3340,00	1833,66
27	ფოლადის მილების შეღებვა ანტიკოროზიული ლაქით 2 ფენად	მ ²	25,0	8,00	200,00
28	რკ.ბეტონის საყრდენის მოწყობა ურდულეებისთვის და უკუსარქველებისთვის 0.2x0.2x0.2	მ ³	0,05	245,00	11,76
	ჯამი:	ლარი			9880,08